საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/241
31/01/2023

241-01-2-202301311759

Touch Beauty-ს წარმომადგენელს თათია გოგაძეს
ელ-ფოსტა: gogadzetatia@gmail.com

ასლი: მოქალაქე ნინო ნათენაძეს (პ/ნ _____)
მის.: _____
ელ-ფოსტა: _____

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2023 წლის 16 იანვრის №01/166 განცხადებით მომართა მოქალაქე ნინო ნათენაძემ (შემდგომში - განმცხადებელი). განცხადების თანახმად, ნინო ნათენაძემ 2022 წლის 24 დეკემბერს ვებ-გვერდიდან touchbeauty.b2c.ge საქონლის შეძენის მიზნით ერთ-ერთ ბანკთან გააფორმა ე.წ. „განვადების“ ხელშეკრულება, რის შემდგომაც გადაიფიქრა საქონლის შეძენა და მოითხოვა ე.წ. „განვადების“ ხელშეკრულების გაუქმება. აღსანიშნავია, რომ სააგენტოში განცხადების წარმოდგენამდე, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ ხერხდებოდა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ნინო ნათენაძის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი 2023 წლის 24 იანვრის №01/238 განცხადებიდან დგინდება, რომ ე.წ. „განვადების“ ხელშეკრულება გაუქმებულია და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოს. ამ კანონის 29-ე–36-ე მუხლები არ ვრცელდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოზე. შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

დანართის სახით გიგზავნით ხსენებულ №01/166 განცხადებას და გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მასში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან, ამავე ვადაში, <u>გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თქვენი სავაჭრო პოლიტიკის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:</u>

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წესისა და ფორმის (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით);
- ნივთის დაბრუნების/შეცვლის წესისა და პირობების თაობაზე (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით).

დანართი: “15” ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი